დადგენილება 33/2020 “ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) საქართველოში გავრცელების თავიდან აცილებისა და პრევენციის მიზნით სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2020 წლის 12 მარტის N13/20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დადგენილება №33 /2020

16 ივნისი 2020

დადგენილება 33/2020 “ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) საქართველოში გავრცელების თავიდან აცილებისა და პრევენციის მიზნით სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2020 წლის 12 მარტის N13/20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, 63–ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის N21 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილება “ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) საქართველოში გავრცელების თავიდან აცილებისა და პრევენციის მიზნით სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2020 წლის 12 მარტის N13/20 დადგენილებაში და მე-7 მუხლის „გ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) შეზღუდული დატვირთვით ელექტრონული საშუალებების გამოყენებით წარიმართოს ინდივიდუალური პედაგოგთან ან/და კონცერტმაისტერთან ერთად ჩასატარებელი ჯგუფური, საანსამბლო, საგუნდო და საორკესტრო მეცადინეობები. დავალებები გაიცეს ელექტრონული საშუალებებით. სწავლება სრულად განხორციელდეს სწავლის ჩვეულ რეჟიმში აღდგენისთანავე. გამონაკლისს წარმოადგენს დამამთავრებელი კურსის

სტუდენტები, მათთვის სწავლების აღდგენა განხორციელდეს კონსერვატორიაში შესვლისთანავე.“.

2. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე www.tsc.edu.ge

3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

4. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე